აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №7

2024 წლის 12 აპრილი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს“ რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ეკონომიკური პროგრამების სააგენტოს“ შექმნის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 8 თებერვლის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლისა და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს“ რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ეკონომიკური პროგრამების სააგენტოს“ შექმნის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 8 თებერვლის №6 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 10/02/2022, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.32.061.016362) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ეკონომიკური პროგრამების სააგენტოს“ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს:

ა) დაემატოს „ა^{1}“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა^{1}) მიზნობრივი ჯგუფისათვის პროგრამების, ქვეპროგრამებისა და პროექტების ფარგლებში გარკვეული სერვისების მიწოდება და უსასყიდლოდ, დახმარების სახით, შესაბამისი აქტივების გადაცემა;“;

ბ) დაემატოს „დ^{1}“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ^{1}) სააგენტოს სარგებლობაში არსებული ქონების მართვიდან და სააგენტოს დებულებით განსაზღვრული სხვა მომსახურებიდან მიღებული სახსრების მიმართვა მიზნობრივი ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **რუსლან აბაშიძე**